ხელშეკრულება №3/64-3

ქ. თბილისი **27.10.2017 წელი**

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, მდებარე: ქ. თბილისი, გუდამაყრის N4 (შემდგომში, „შემსყიდველი"), მისი გენერალური დირექტორის გიორგი აბესაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ჯი–თი მოტორს", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., N48ვ , ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე–12კმ** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თემურ უსტიაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების შესაბამისად,** (დაფინანსების წყარო: 2017 წლის საკუთარი შემოსავლები) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტია: **ერთი ერთეული მსუბუქი ავტომობილის (SUZUKI SX4 ჰეტჩბეკი, სახელმწიფო ნომრით: SS109TT) ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა (CPV50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), დანართი №1–ით განსაზღვრული ფასების შესაბამისად** (დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1000 (ერთი ათასი)** ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისთვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მომსახურების გაწევისათვის საჭირო გონივრულ ვადებში ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. **(დეტალის დაკვეთის საჭიროების და/ან შესასრულებელი სამუშაოს სირთულის გათვლისწინებით, მიმწოდებელი აცნობებს შემსყიდველს დამატებითი ვადის შესახებ.**

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

6.2 „შემსყიდველი" ვალდებულია, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.3 შეტყობინების მიღების შემდეგ, „მიმწოდებელი" ვალდებულია, თუ დეფექტი გამოწვეულია მის მიერ გაწეული უხარისხო მომსახურებით, შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები, კერძოდ, გასწიოს ხელახალი მომსახურება საკუთარი ხარჯით ან ჩაანაცვლოს ახალი დეტალით. (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დეტალი სწრაფცვეთადია და/ან აღენიშნება გარეგანი, მექანიკური ზემოქმედების კვალი და/ან დეტალი ან მომსახურება შეძენილია მიმწოდებლის სერვისის გვერდის ავლით მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც შესყიდვის ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.4 თუ „მიმწოდებელი", ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ, არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის;

7.4 ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება, შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი(ებ)ის **{(მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან)}** წარმოდგენიდან არაუგვიანეს **15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის** ვადაში.

7.5 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7.6 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს, დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.7. ანაზღაურება „მიმწოდებელთან" განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დარჩენილი თანხა რჩება „შემსყიდველთან" და იგი არ წარმოშობს მხარეებს შორის რაიმე დამატებით ვალდებულებებს.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს" შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- განახორციელოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

8.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- გააფრთხილოს „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიწოდების შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება, ხელშეკრულების პირობებში, არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარეშე.

10.2 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 11.3 ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს **ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი.**

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის (მათ შორის ხელშეკრულების მე–7 მუხლის მიზნებისთვის) შემსყიდველი მხარე დამატებით განმარტავს, რომ თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები, რომლის ძირითად წილს შეადგენს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული თანხები.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.6 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.7 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.8 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის, უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ, ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე, იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა
მისამართი: ქ.თბილისი, გუდამაყრის N4
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ა/ა GE24 NB03 3010 0200 165 022

„მიმწოდებელი“

შპს „ჯი–თი მოტორს“,
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., N48ვ ,
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე–12კმ
საიდენტიფიკაციო ნომერი 206276340
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ა/ა GE 89 BG 0000000247624300
ტელ: 595 900 935, 2595000

გენერალური დირექტორი
გიორგი აბესაძე

დირექტორი
თემურ უსტიაშვილი

დანართი N1						
N	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)		სულ ჯამი (ლარი)
				სათადარიგო ნაწილი	მომსახურება	
1	საყრდენი დისკის მოხეხვა	ცალი	1	0	37.5	37.5
2	ხელის მუხრუჭის რეგულირება	ცალი		0	12	12
3	საყრდენი დისკები წინა	ცალი	2	283.2	60	343.2
4	დინამოს ღვედი	ცალი	1	35	36	71
5	მექ. გადაცემათა კოლოფის ზეთი	ლიტრი	1	45	20	65
6	სამუხრუჭე სითხე DOT-4 0.5L	ცალი	1	16	30	46
7	ანტიფრიზი	ლიტრი	1	20	30	50
8	ფრეონი (134A)	გრამი	100	11.8	30	41.8
9	შეჭიდულობის ქურო	ცალი	1	389.4	306	695.4
10	შეჭიდულობის დისკი	ცალი	1	389.4		389.4
11	მომჭიმი საკისარი	ცალი	1	472		472
12	თვლების ნახარის რეგულირება	კომპლ.	1	0	20	20
13	შორს მაშუქი ნათურა	ცალი	1	27.73	6	33.73
14	ახლოს მაშუქი ნათურა	ცალი	1	27.73	6	33.73
15	გაბარიტის ნათურა	ცალი	1	4	6	10
16	სალონის ნათურა	ცალი	1	10.03	6	16.03
17	უკანა ფარის ნათურა	ცალი	1	4	6	10
18	სანისლე ფარის ნათურა	ცალი	1	53.1	18	71.1
19	საბურავის მოხსნა/დაყენება, დაშლა/აწყობა-ბალანსირება	ცალი	1	0	12	12
20	საქარე მინის ვაიპერი	კომპლ.	1	59	12	71
21	ფეხსაგები	კომპლ.	1	147.5		147.5
22	აკუმულატორი	ცალი	1	250	12	262
23	ელ სისტემის დიაგნოსტიკა	ცალი	1	0	30	30
24	წინა ხიდის ზეთი	ლიტრი	1	45	20	65
25	უკანა ხიდის ზეთი	ლიტრი	1	20	20	40
26	ძრავის ზეთი Castrol 5w30	ლიტრი	1	25.00	20.00	45
27	ზეთის ფილტრი	ცალი	1	30.00		30
28	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	47.20	8.00	55.2
29	წინა ხუნდები	კომპლექტი	1	212.40	28.00	240.4
30	უკანა ხუნდები	კომპლექტი	1	289.10	32.00	321.1
31	სალონის ფილტრი	ცალი	1	47.20	12.00	59.2
32	აალების სანთელი	ცალი	1	45	30	75
33	სტაბილიზატორის რეზინი	ცალი	1	23.6	12	35.6
34	ამორტიზატორი, უკანა	ცალი	1	350	30	380
35	სტერჟინი	ცალი	1	172	12	184
36	ამორტიზატორი, წინა	ცალი	1	560	60	620
37	საჭის წევა(უდარნი ტიაგა)	ცალი	1	255	60	315

"GT MOTORS" LTD * 206276340 *

38	საჭის წევის დაბოლოვება(ნაკანეჩნიკი)	ცალი	1	150	40	190
39	წინა ყუმბარა	ცალი	1	1795	60	1855
40	ყუმბარის მტვერდამცავი(პილნიკი)	ცალი	1	300	60	360
41	უკანა ხიდის ჩობალი(სალნიკი)	ცალი	1	42	30	72

გენერალური დირექტორი
გიორგი აბესაძე

დირექტორი
თემურ უსტიაშვილი

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

2017 წლის 27 ოქტომბრის N3/64–პ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილესთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გენერალური დირექტორი:	გ. აბესაძე
ფინანსური დირექტორი:	მ. წაქაძე
შესყიდვების სამსახურის უფროსი:	გ. მაღლაკელიძე
იურისტი:	თ. ხორხელი
ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი:	გ. ბაქრაძე
შესყიდვების სამსახურის მენეჯერი:	ქ. ფიცხელაური